...შეგახსენებთ — გაზეთი გამოდის სამშაბათობით!...

# ფანტაზია

№ 27 (53)

1997 წ. 5 აგვისტო | ის „ფანტაზიის" ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი | ფასი 30 თეთრი

მარინე ხაჩირაშვილი და ვლადიმერ ყაჯრიშვილი საკროსვორდო ტურნირის გამარჯვებულნი!

## 322 სიტყვა მორიგი კროსგიგანტის ბადეში ?!



Fantasy

**თარაზულად**

**5.** ესპანეთის ისტორიული ოლქი...„ბრეჟნევის კატით". **8.** ქართველი მოგზაური. **11.** კახური ღვინო. **12.** ჭრელთვალებიანი. **16.** მსახიობი, რომელიც ტანკისტი იყო ერთ ფილმში...ომამდე. **18.** საყვარლის დასამალად გამოსადეგი რამ. **22.** თაყვანისცემის ობიექტი. **23.** ჩეხეთის საკურორტო ქალაქი (დეფისის გარეშე). **25.** შუა სს. საფრანგეთში ოქროს მონეტა. **30.** ქართველი კომპოზიტორი. **31.** ქედმაღლობა და ამპარტავნობა – ინგლისური სინამდვილიდან. **32.** ძვირფასი ტყავი ბალზაკის მოთხრობიდან. **37.** სომხური ლიტერატურის კლასიკოსი-დრამატურგი. **38.** ცნობილი საერთაშორისო ფონდი. **39.** ქიმიური ნედლეული – მე-20 საუკუნის „ამშენებელი". **41.** ბრაზილიელი (არასასერიალო) მწერალი. **44.** თავისუფალი ადგილი. **46.** უდიდესი იტალიელი კინორეჟისორი. **48.** „ინდიელთა ქალაქი" აშშ-ში. **50.** ვაზი, რომელიც თითქმის არ საჭიროებს მოვლას. **52.** განიარაღება. **53.** ქალაქი ციმბირში. **54.** უზბეკეთის მთავარი სიმდიდრე. **58.** ვიოლინოების იტალიელი ოსტატი. **60.** (კიდევ ერთი) კლასიკოსი სომხური ლიტერატურისა. **62.** კართაგენელი ქალბატონი, ფლობერის რომანის გმირი. **66.** კვალიფიკაციის შემოწმება. **67.** როგორი შეიძლება იყოს „ლეკვი ლომისა"? **68.** „პატარა ნიანგი". **69.** უფერო გაზი. **72.** ვინ შეიძლება გაგვახსენდეს „კოტეს" ხსენებისას? **73.** ცილინდრი, ულვაშები, ხელჯოხი... მიხვდით? **74.** რა შეიძლება ერქვას კაცს, თუ იგი გვარად სპილბერგია? **78.** სპეცდანიშნულების გემების რაზმი. **79.** ღალატის სიმბოლო-ადამიანი. **80.** აქ ორი დიდი ფაშისტის გვარის ჩაწერა შეიძლება... რომელიც გნებავთ, ის ჩაწერეთ. **82.** „ღრმა" სევდა. **84.** ყველაზე მასშტაბური სატრანსპორტო ქსელი. **85.** წერილი... არაქართულად. **86.** ესპანური სამყაროს ფულის ერთეული. **87.** არეულობის მანიაკი.

**შვეულად:** **1.** ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონის დირექტორი. **2.** სითხის სოფლურ-არატრადიციული საზომი საშუალება. **3.** რევოლუციამდელი სახელმწიფო მოხელე. **4.** პროსტიტუციის ძველქართული სინონიმი. **6.** კლდეში ნაკვეთი ქალაქი. **7.** აშშ-ს საკურორტო ნახევარკუნძული. **9.** ორი სივრცის ზღვარი. **10.** რაიმე გარემოში შესასვლელი. **13.** სახელმწიფო ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. **14.** კიდევ როგორი შეიძლება იყოს ქალი... ყველა სხვა „სიკეთესთან" ერთად? **15.** ამიერკავკასიის უძველესი სახელმწიფო. **17.** ჩანჩქერ ვიქტორიის აღმომჩენი ინგლისელი მკვლევარი აფრიკისა. **19.** გენიალური ესპანელი ფერმწერი. **20.** ტარიელის საცხოვრებელი... წლების განმავლობაში. **21.** „მკერდზე მისადები" მუსიკალური ინსტრუმენტი. **24.** რას დაასახელებდით თბილისში, როგორც ყველაზე დიდ ნაგებობას (მიც. ბრ)? **26.** „ალექსანდრეს" ქალურ-შემოკლებული ვარიანტი ინგლისურ სამყაროში. **27.** ადამიანის სახის ნაწილი. **28.** აშშ-ს პრეზიდენტი 70-იან წლებში. **29.** უჩვეულო მოვლენა. **33.** კარლო გოცის პიესის ზღაპრული პრინცესა. **34.** „სპორტული" ლითონი. **35.** პრეზიდენტობიდან გადაყენების საშუალება. **36.** აფრიკის სახელმწიფოს დედაქალაქი (დეფისის გარეშე) **40.** ძველრომაელი მწერალი-ფილოსოფოსი. **42.** მომხვეჭელობასთან დაკავშირებული ავი ზნე. **43.** მხედველობითი ორგანოს ნაწილი. **45.** ქართველი მსახიობი... „ვაუჩერის" პიესიდან. **47.** ინგლისური გაზეთი. **49.** მშრომელის სიმბოლო-მწერი. **51.** ძველი საბერძნეთის ქალაქი-სახელმწიფო. **55.** კულინარული ინვენტარი. **56.** აფრიკელი თომას ნათესავური „სტატუსი". **57.** ისლამური სამყაროს ეშმაკი. **59.** უპირატესობა. **61.** ვერდის ოპერა. **63.** რა ერქვა სომეხ კომპოზიტორ ბაბაჯანიანს? **64.** უწყლობის პრობლემა. **65.** აფხაზთა წარჩინებული გვარი. **70.** ქართული დრაკონი. **71.** ევროპის რიგი სახელმწიფოების პოლიცია. **75.** ქალაქი საფრანგეთში. 76. ქალაქი რუმინეთში. **77.** ყველაზე კაშკაშა ხილული ვარსკვლავი. **81.** კამათის სახესხვაობა. **83.** ქართველი სახალხო გმირი.

*(გმა-ა-ადლობთ ყურადღებისათვის!)*

## თბილისელი ფანტაზიორები

*ლუკმა-პურის შოვნა რომ გაძნელდა, „მათაც" კარგად მოეხსენებათ, ვისაც, ბევრი რამ არ უნდა მოეხსენებოდეს... ეს პატარა მუსიკალური რეპლიკა უბრალოდ იმ ხალხს შეეხება, ვინც ათასგვარ ფანდს იგონებს, რათა დღეში 2-3 ლარი იშოვოს და... თუმცა, მგონი ვცდები, რადგან ამასწინათ შევესწარი, როგორ იკვეხნიდა ათიოდე წლის ბიჭი – „დღეში 15-20 ლარს ვშოულობო ჩემი დოლით" – და პროტესტის გრძნობა გამიჩნდა –საიდან?,როგორ... და რატომ-მეთქი? რატომ და... ორიოდე დღის შემდეგ ის ბიჭი ისევ ენახე თავისი დოლით: შუა ბაზრობაზე რომ იჯდა, თავის ინსტრუმენტს „რუსის ბარაბანივით" რომ ურტყამდა და მღეროდა, თუმცა მას სიმღერასთან ისეთივე კავშირი ჰქონდა, როგორც ვანო სარაჯიშვილს – წყალქვეშა ავიაციასთან?!..*

*აი, ასეა, თუ არსებობა გინდა, პატარა უნდა გათავხედდე კიდეც... თურმე! ფანტაზიის მოხმობასაც გირჩევთ, რადგან ფანტაზიის გარეშე ძნელია ცხოვრება!*



## იცით თუ არა, რომ...

ჩვენს დედაქალაქში თუნდაც მხოლოდ სამშაბათ დღეს 6 დასახელების საკროსვორდო გაზეთი გამოდის (საერთო რიცხვმა კი 30-ს მიაღწია!)
ერთი ქვევრში მჯდომი კაცისა არ იყოს, ისლა გვეთქმის „ბარაქა, გოგი!" – ხოლო ჩვენი რედაქცია იტოვებს იმის უფლებას, რომ ზემოაღნიშნული გოგიას პასუხი ამ რეპლიკაზე (ჯერჯერობით!) არ გამოაქვეყნოს.

**P.S.** *გაჩნდა კიდეც აზრი, რომ, ხუთშაბათისა და თევზის დაწყევლების მსგავსად, სამშაბათი და კროსვორდიც დავაწყევლოთ! („...რა უჭირს მერე?! – იყოს სამშაბათი..."). იმედია, ქართველი საზოგადოებრიობა მხარს დაგვიჭერს ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელებაში, არის მეორე აზრიც, რომ ამ აზრის პატრონის დაბადების დღე, 16 აპრილი (სიყვარულის დღეზე თანდართვით), „კროსვორდის დღედ გამოცხადდეს („...რა უჭირს მერე?! – იყოს 16 აპრილი..."). იმედია, რომ მადლიერი ქართველი მკითხველ(-შემვსებ)ი საზოგადოებრიობა ამაშიც მხარს დაგვიჭერს! ველით გამოხმაურებას!*

*გმა-ა-ა-დლობთ!*

## საკუთარი თვალი ნანახი კურიოზი

*ამასწინათ ჩვენს ქალაქში ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაზე ასეთ უცხოენოვან წარწერას წავაწყდით:*
*„ჩვენ ინგლისურად ვლაპარაკობთ!" (უცხოელთა მოზიდვის მიზნით, როგორც ჩანს... – რედ.)*
*მცირე ხნის შემდეგ იმ მაღაზიის მოპირდაპირე მხარეს, სხვა მაღაზიამ ასეთი წარწერა გამოაკრა:*
*„ჩვენ არ ვლაპარაკობთ ჩვენ ვმუშაობთ".*

## ნომრის ანეკდოტი

ერთი ჩვენებური კაცი სამშობლოში ბრუნდება და თავისი რეისის მოლოდინში სათამაშო აპარატების დარბაზში შედის, მიდის ტელეეკრანთან და კითხულობს: „ამ აპარატს შეუძლია თქვენი ეროვნების, ასაკის და რეისის გამოცნობა". აგდებს ჩვენებური ავტომატში მონეტას და კითხულობს: „ქართველი, 27 წლის, მიფრინავს 707-ე რეისით". იგი გაოცებული გამოდის დარბაზიდან, ქალის ტანსაცმელს იცვამს და ისევ შედის იქ. აგდებს აპარატში მონეტას და კითხულობს: „ქართველი, 27 წლის, მიფრინავს 707-ე რეისით". ის კაცი კიდევ უფრო გაოცებული გამოდის დარბაზიდან, ამჯერად მოხუცი კაცის მსგავსად იმოსება და ისევ ბრუნდება აპარატთან; აგდებს მონეტას და კითხულობს: „ქართველი; 27 წლის, სისულელეებისათვის თავი რომ დაენებებინა, გაფრინდებოდა 707-ე რეისით".

# 322 სიტყვა

**თარაზულად:** 21. კაცი, რომელმაც 1978-79 წლებში ფოლკლორის დიდებული საღამოები ჩაატარა. 22. საფრენი აპარატი. 23. საიზოლაციო-ჩასაკეტი საშუალება. 24. ჭიათურის „ღირსშესანიშნაობა" 25. ილია ჭავჭავაძის ლექსი. 27. ძველბერძენი მოქანდაკე. 33. უძველესი რელიგიურ-ფილოსოფიური თხზულება. 34. დიდი ბრიტანეთის უდიდესი პოლიტიკოსი. 35. „გამოსამჟღავნებელი" და "დასაუფლებელი" უცხოური ცნება. 36. სოკოს სახესხვაობა. 37. კომუნისტების ფილოსოფია. 39. ძველებური საზომი ერთეული. 40. ერთი ულამაზესი ქალაქის ძველკომუნისტური სახელი. 42. ასოებთან დაკავშირებული ლიტერატურულ-პოეტური ქმნილება. 43. ცენტრალური აზიის მაღალმთიანი რაიონი. 44. რა არის ეს: გიორგი I. გიორგი II, გიორგი III, გიორგი IV და ა.შ.? 45. ჰოლივუდელი კინომსახიობი მამაკაცი. 49. რა „სჭირთ" ხოლმე ცოლადქცეული ქალების ნაწილს (თუ უმრავლესობას?)... უკაცრავად! 51. რა შექმნა საქართველომ XI საუკუნეში? 52. თანამედროვე საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მინისტრი. 54. ექიმი... ერთი კონკრეტული სფეროს სპეციალისტი. 55. საფრანგეთში ერთდროს ყველაზე მნიშვნელოვანი სახელი. 56. ზოგჯერ ჩასაწყლომი და ზოგჯერ ამოსაღები რამ. 58. თურქულიდან შემოსული სინონიმი სიტყვისა „ბედი". 60. რა აკლია რაჭულად „შენი ჭირიმეს"? 61. „წვეტიანი წრე"... მიმაგრებისათვის. 62. აუცილებელი რამ ლობიოსათვის. 63. ბერძენთაგან მითვისებული ძველფინიკიელი ღვთაება. 64. ქალაქი, სადაც კვაჭი კვაჭანტირაძემ ბევრი რამ „გააიმასქნა". 66. გერმანული წარმოების ფოტოფირი. 67. შაიბიანი თამაშის დროის მონაკვეთი. 75. ჩვენი ბებია-ბაბუების საყვარელი ცეკვა. 77. თამარის სახის შემომნახავი ეკლესია. 78. მამა – ბალზაკის მოთხრობის სათაურიდან. 79. სხვის ქონებაზე დახარბებული კაცი. 80. მოძრაობასთან დაკავშირებული ფიზიკური ცნება. 81. ნატო ვაჩნაძის პერსონაჟი ფილმში „სამი სიცოცხლე". 83. საყოფაცხოვრებო იარაღი. 90. საცეკვაო ხელოვნების ოსტატი. 91. ავტომობილის „სუსტი ადგილი" ზამთარში. 94. სიმებიანი ინსტრუმენტი. 96. კოსმონავტიკა – ამერიკულად. 97. 60-70-იანი წწ. იტალიელი ფეხბურთელი № 11. 100. ირანის ისლამური რესპუბლიკის შემქმნელი. 101. ავტორი რომანისა „გივი შადური". 102. ვინ არის პაპუასი ავსტრალიისათვის? 104. შეცდომების გამსწორებელი. 105. სატრანსპორტო ერთეული. 106. მფრინავი ობიექტი. 112. იური ნიკულინის ცხოვრების არსი. 114. ზღვისა და ხმელეთის სასაზღვრო „შვერილი". 115. მსოფლიო ჭადრაკის ერთ-ერთი ლეგენდა. 116. მოსახარში ბაღჩეული კულტურა. 117. სახლის ფეხსაცმელები (მრ.რიცხ.) 118. ელექტრომანქანების სადგომი. 119. სწორნაწლავის ერთგვარი დაავადება. 120. ცნება საარმიო სტრუქტურიდან. 126. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონი. 127. ჩეხეთის ისტორიული ოლქი. 128. სწავლას „დახარბებული" ახალგაზრდა. 129. პროსპერ მერიმეს ლიტერატურული ქალიშვილი. 130. საქართველოს მხარე. 131. მსგავსი, ანალოგიური, იდენტური... კიდევ? 132. როგორ იტყოდა რომაელ-ლათინელი „მე"-ს? 138. რა ერქვა ვინმე ნატუტარს პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ყვარყვარეში"? 139. რომის პაპის დესპანი უცხო ქვეყანაში. 140. მახრჩობელა გველი. 141. კუჭის საწმენდი საშუალება. 142. როგორი შეიძლება იყოს წყალი ქიმიკოსების თანახმად? 143. ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელი თვისება. 144. რა გააჩნია ყველაზე მეტი ყოყლოჩინა ადამიანს? 145. დაბა სიღნაღის რაიონში. 151. კომედიური სპექტაკლის სახესხვაობა. 152. სოფელი მცხეთის სიახლოვეს. 154. გეომეტრიული ხაზი. 155. თეატრალური ატრიბუტი. 156. პერსონაჟი რომანიდან „დათა თუთაშხია". 157. სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიური მოძღვრება. 162. XIX ს. რუსეთის მწერალი, ფილოსოფოსი, საზ.მოღვაწე. 163. რაიმე იდეის ან რწმენის გამავრცელებელი. 164. ერთ-ერთი ძალიან დიდი რიცხვი. 167. ქართული კომედიის განუმეორებელი ოსტატი. 169. საქართველოს აწ არარსებული ისტორიული მეზობელი. 170. პირველი კოსმოსური სახელი. 175. ვინ თამაშობს მთავარ როლს ფილმში „ათოვდა ზამთრის ბაღებს"? 176. მუსიკალური სპექტაკლი. 177. როგორი „გაგება" აქვს არადედაქალაქელს (კარგი თუ ცუდი გაგებით)? 179. ღრუბლის „საზომი" ერთეული. 181. ჯულიეტა მაზინას პირველი კინოროლი. 182. XX საუკუნის ერთ-ერთი პირმშო. 188. შეყვარებულის „მესაიდუმლე" ყვავილი. 190. აშშ-ს (იქაური მასშტაბებით) პატარა ქალაქი. 191. რა არის „დინამოს" სტადიონი? 192. ავტორი რომანისა „დიდი მოურავი". 193. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ყოფილი რექტორი. 199. ვაჭრობის ბერძნული ღვთაება, იგივეა, რაც რომაული მერკური. 200. XVII ს. ინგლისელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე. 201. გავლენიანი პირი – მცირეოდენი ირონიზირებით. 202. გონებაშეზღუდულობის სახესხვაობა. 203. იგივეა, რაც აღმოსავლეთმცოდნეობა. 204. ქალაქი კანადაში. 208. თბილისის მეტროპოლიტენის სადგური. 209. ქსოვილის ბუსუსები. 210. ქართველი კინორეჟისორი. 213. რუსი კინორეჟისორი. 215. რა შეიძლება ჰქონდეს სპორტში ერთ გუნდს მეორესთან მიმართებაში? 216. მდინარე იტალიაში. 219. თავდაცვითი საბრძოლო ნაგებობა. 221. ქართველი მწერალი ქალი. 223. რა ერქვა ჩაპაევის მეტყვიამფრქვევე ბიჭს? 224. ექიმი... კონკრეტული სპეციალობით. 225. აფრიკული სახელმწიფოს დედაქალაქი. 226. შოკოლადის წყვილი. 230. ქალაქი ინგლისში. 232. სანახაობითი დაწესებულების მფლობელი. 233. გასამრჯელო შემოქმედებითი შრომისათვის. 235. ორგანიზაციის „მართვის" საშუალება. 237. ბერძნულიდან შემოსული სახელი, რომელიც რუსულად ნიშნავს – „ძალები (მოიკრიბე) ჩქარა!" 242. ქართველი მოცურავე თინათინი... 1968 წ. ოლიმპიური თამაშების მონაწილე. 244. იგივეა, რაც თოჯინა. 245. ქართული ესტრადის თამუნა. 246. გავლენის ქონა ამა თუ იმ ტერიტორიაზე. 249. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი. 253. ძალიან დიდი, მაგრამ წარმოსადგენი რიცხვი. 255. ესპანელი კინორეჟისორი. 258. ადამიანთა დაყოფის ერთ-ერთი საფუძველი. 259. ქიმიური ელემენტი. 260. სამშობლოსთან დამაკავშირებელი გრძნობა. 261. საჭიდაო ილეთი. 266. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მდინარე. 267. რუსული ესტრადის მომღერალი. 269. სასოფლო სპეციალობა. 270. ქართველი კომპოზიტორი. 272. ერთ-ერთი მათგანი, ვისაც ფიშერმა 6:0 მოუგო. 274. ქიმიური ელემენტი. 280. ნახევარი არსება ვაჟას შემოქმედებიდან. 281. ქართული გაზეთი. 282. დამომშინება, დაწყნარება, დამშვიდება... 284. ბიოლოგის „მარჯვენა" ხელი. 286. ევროპული ენების მნიშვნელოვანი ნაწილაკი. 287. რუსული კულინარული ნაწარმი. 291. კვერნისებრი ცხოველი. 293. დედამიწის რეკორდსმენი სიმაღლეში. 294. ერთ-ერთი ცუდზნიანი ადამიანი. 295. ნეანდერტალელი ადამიანის წინამორბედი. 296. ცხრანი... ოღონდ ერთად. 299. ავტორი პიესისა „ხანუმა". 301. თბილისის „დინამოს" ნახევარმცველი და შემდგომ მწვრთნელი. 302. ქართულ ლიტერატურაში „შემოდგომის" წარმომადგენელი. 304. № 302 კითხვაში ნაგულისხმევი ტიპების მემატიანე. 306. სახელების შემსწავლელი მეცნიერება. 307. ქორთან „კონტაქტის" დასამყარებელი სიტყვა. 311. სხვის მხიარულებაზე მზრუნველი პირი. 312. ელექტროინვენტარი. 313. პირველი პირი არასოციალისტურ გარემოში. 314. ერთი ქართველი მწერალი ქალის ფსევდონიმი. 315. ფართობის საზომი ერთეული. 316. მჭრელი იარაღის „ნავაქკაცარი" სხეულზე. 317. სახელმწიფო აფრიკაში.



**შვეულად:** 1. სუბიექტი, რომელიც საქმეში ხელს გვიშლის. 2. ერთ-ერთი კავკასიელი. 3. ყველაზე ცნობილი ქუთაისელი. 4. ქართველი მწერალი-ანტიფაშისტი. 5. რა არის „არჩევანი-არადანი"? 6. XIX-XX ს. ინგლისელი მწერალი. 7. რა არ საჭიროებს „რკინის კარებს" სიმღერაში. 8. რა ერქვა ვინმე უიშვილს? 9. ძლიერი მომწამლავი ნივთიერება. 10. დიდი მონასტრის წინამძღვარი. 11. ადამიანის „მკვდარი" სახე. 12. ფილტვის „ინვენტარი." 13. ქართული ყოფის განუყოფელი „ტრადიცია". 14. „რუსის სახელობის" არაყი. 15. ყოფილი სატელევიზიო-საინფორმაციო პროგრამა. 16. ისტორიული ბრძოლის ველი რუსული სინამდვილიდან. 17. რელიგიური სასწავლებელი. 18. კანის ექიმი. 19. 9 აპრილის ყვავილი. 20. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე. 26. ნახევარკუნძული ევროპის ჩრდილოეთით. 28. ბაბილონის ყველაზე ცნობილი დედოფალი. 29. რა ჰქვია კაზაკების სოფელს? 30. ძველი ქართველი მსახიობი, აკაკი... 31. ნგრევა-გაჩანაგების მოყვარული. 32. ქალაქი პოლონეთში. 38. მე-2 მსოფლიო ომის გადამწყვეტი ბრძოლის ქალაქი. 41. დამცლელი მილგაყვანილობა. 46. რაიმე მელოდიის გამეორება ამავალი ან დამავალი გამის სხვადასხვა საფეხურზე (საჭიროა ლექსიკონი). 47. გასახდომად დაცული „თავისმოტყუება". 48. კუნძულოვანი სახელმწიფოს დედაქალაქი. 50. ძველბერძენი ფილოსოფოსი. 53. კვერცხის საღებავი. 57. (ბემურაზი) ჰიტლერის ნამდვილი გვარი. 59. ტექსტის უცხო ენაზე გადატანა. 65. სასწავლო წლის ნაწილი. 68. რძეში მოხარშული ცომი. 69. იტალიური კინოს მიმდინარეობა. 70. ლენცის კოლეგა ფიზიკოსი. 71. უარყოფა-შეუძლებლობის ნაწილაკი. 72. ქალაქი დანიაში. 73. როგორ ეტყოდით კუროსავას – ბატონო ვინო? 74. ონისეს როლის შემსრულებელი ფილმში „ხევისბერი გოჩა". 76. მუსიკალური ნაწარმოები. 82. ქალაქი ყირიმის ნახევარკუნძულზე. 84. გასართობი დანადგარები. 85. ცივი იარაღი. 86. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი. 87. მათემატიკური ცნება. 88. წინააღმდეგობის პოლიტიკა. 89. ფერფლმოდებული ნაკვერჩხალი. 92. რუსი მათემატიკოსი ქალი. 93. (ღმერთმა გაშოროთ!) ჭლექი ანუ... 95. იანვრის ძველი სახელი, 98. კითხვა-პასუხზე აგებული კონკურსი. 99. რუსული ველი. 103. ახლო წარსულის ჰოლანდიელი ფეხბურთელი. 107. ფრანგი კომპოზიტორი, მორის... (1875–1937). 108. დიდი ბრიტანეთის ნაწილი. 109. ბიზანტიის იმპერატორთა პოპულარული სახელი. 110. ქართული სალამურის დიდოსტატი. 111. აღმოსავლური ლექსის ნაწილი. 113. ზიან-ზარალის ნაცვალგება. 118. კაპიტან გრანტის მაძიებელთა გემი. 121. მზის სისტემის პლანეტა. 122. კამერუნის დედაქალაქი. 123. რკინასთან მომუშავე ოსტატი. 124. ჩრდილოეთ აფრიკის უძველესი ქალაქი-სახელმწიფო. 125. ტვინის გარსის ანთება. 133. საფეხბურთო ამპლუა. 134. საფოსტო ატრიბუტიკის შეგროვება. 135. ალკოჰოლური სასმელი. 136. ჰოლივუდელი ნასტასია. 137. რკინიგზის სადგური ზუგდიდის მახლობლად. 146. მამისაგან მოკლული ერთადერთი ვაჟი. 147. ქალაქი ჰოლანდიაში. 148. პოლარული სადგური არქტიკაში. 149. (თუ გახსოვთ) რა ერქვა კიეველ მსახიობ ქალს, როგოვცევას? 150. ერთ-ერთი თავადი „ბაშიაჩუკიდან". 153. ჩიჩიის მაძიებელი კაცი ერთ ზღაპარში. 158. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 159. მაცხოვრის ანტიპოდი. 160. თანამედროვე საფეხბურთო სამყაროს ერთ-ერთი მაგნატი. 161. ომისათვის მზადების ღონისძიებანი. 165. ნაპოლეონის არმიის დამარცხების ადგილი. 166. ქალაქი რუსეთში. 168. ადამიანის შემსწავლელი მეცნიერება. 171. სიკეთისმქმნელი ანუ... 172. საქართველოს ისტორიული ძეგლი. 173. შეზღუდული გონების და ფარისევლური ქცევის ადამიანი. 174. ქართველი პოეტი. 178. თანამედროვე იტალიელი ფეხბურთელი. 180. ქალაქი საფრანგეთში. 183. სამეწარმეო საქმეთა განმსჯელი სასამართლო. 184. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი. 185. ქალაქი უზბეკეთში. 186. კურორტი ჩრდილოკავკასიაში. 187. ფასიანი ქაღალდი. 189. სისხლისმწოველი არსება. 193. შენობის შიდა აივანი. 194. იხილეთ პირველ გვერდის კროსვორდის შვეული კითხვა № 17. 195. თეატრალური ინვენტარი. 196. ნამცხვრის შუალედური „შინაარსი". 197. ქართული ხალხური სამოსი. 198. ქართველი კომპოზიტორი. 205. გაგება-შეცნობის სურვილი. 206. ძველებური ხომალდი. 207. საქართველოს ისტორიული ძეგლი. 211 ნიუ-იორკში სტრიტის პერპენდიკულარული ქუჩა. 212. ქალაქი იაპონიაში. 214. საჟურნალისტო საქმე. 217. ტყის ხილი. 218. მამაკაცის ზედა სამოსი ძველებურად. 220. ფრანგი მომღერალი, რომლის მამა-პაპა თბილისელი სომხები იყვნენ. 222. ინგლისელი მომღერალი (ჩვენთან კავშირი არ ჰქონია). 227. სახელმწიფოს მართვის ორგანო. 228. ურთიერთობა – არაქართულად. 229. წინასწარი განცხადება. 231. ლალი მინდელის (ვითომ) ხევსური ტყუპისცალი. 234. „გეიზერების ქვეყნის" დედაქალაქი. 236. რა გვარია ვინმე საგანელიძე კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კლასიკურ" რომანში? 238. ანტიბიოტიკური პრეპარატი. 239. ბერნარდ შოუს ცნობილი პიესა. 240. ძველი სპარსეთის დიდი მეფე. 241. (ბატონი) შანიძე, ოლიმპიური თამაშების ორგზის ვერცხლის პრიზიორი, ძალოსანი. 243. ლიბერიელი ფეხბურთელი. 247. აწგარდაცვლილი ალმა-ათელი როკ-მომღერალი. 248. საზღვაო ჯარის უმაღლესი ხელმძღვანელობა. 250. რესი კომედიური მსახიობი, „13 სკამის" დირექტორი. 251. უძველესი ევროპული თხზულების „უფროსი" პერსონაჟი. 252. გრაფიკული ნიშანი. 254. სახელმწიფო ევროპაში. 256. ჩრდ. ნახევარსფეროს ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი. 257. ფიზიკური ხელსაწყო. 262. კომუნისტების საყვარელი ღონისძიება. 263. ასაფეთქებელი იარაღი. 264. ქირურგის იარაღი. 265. რა სჭირდება (თუნდაც) ბიზნესს? 268. ლამაზი ქალის ეპითეტი. 271. 300 სპარტელის ქართველი „კოლეგები" (მრ.რიცხ.) 273. „ძველი ბიჭების" ორი დაავადების შემსწავლელი მედიცინის დარგი. 275. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო. 276. ერთ-ერთი ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედა- ქალაქი. 277. გოგონა, რომლის „ბედნიერებას" ერთი ძველი ქართული ფილმი დაეძებდა. 278. რელიგიური ნაგებობა. 279. ვაჟას პოემის გმირი, სახელად ძაღლიკა... 283. ფულად-საკრედიტო დაწესებულება. 284. 60-70-იანი წწ. უძლიერესი კიეველი ფეხბურთელი-ნახევარმცველი. 285. დაახლ. იგივეა, რაც დახვეწილება. 288. კერვის ოსტატი. 289. აფრიკის სახელმწიფო. 290. სამეგრელოს ზღვისპირა სოფელი. 292. უძველესი სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიაზე. 293. კომპიუტერის ყველაზე ხშირად ხმარებული კლავიში. 297. უზბეკი მომღერალი ქალი. 298. საქართველოს მხარე. 300. ვისკის მისაღები ნედლეული. 301. სამგზავრო ვაგონის ნაწილი. 303. ფრანგული ავტომობილი. 305. ქალაქი გერმანიაში. 308. თანაფარდობა. 309. „ბიჭი" – მეგრულად. 310. ინგლისურენოვანთა თავაზიანი მიმართვა.

*ერთხელ ზებრამ შინაური ცხოველების გაცნობა მოინდომა. პირველად ძაღლი ნახა.*
*– მე ძაღლი ვარ – უთხრა ზებრას.*
*– რას საქმიანობ?*
*– სახლს ვდარაჯობ!*
*– შენ ვინა ხარ?*
*– მე ძროხა ვარ, რძეს ვიძლევი.*
*ბოლოს ხარი დაინახა:*
*– თქვენ რაღას აკეთებთ? – ჰკითხა ზებრამ.*
*– „ეგ პიჟამო გაიხადე და გაგაგებინებ!"*

## კროს–ჩემპიონატი

მაშ, ასე ზაფხულის ტურნირს ორი გამარჯვებული ჰყავს: მარინე ხაჩირაშვილი და ვლადიმერ ყაჯრიშვილი. მათ შორის გაიყოფა ფირმა „ექს-ელის" მიერ დაწესებული პრიზი 50 ლარი. ქალბატონ მარინეს და ბატონ ვლადიმერს ვთხოვთ მობრძანდნენ რედაქციაში.
იმედია, საშემოდგომო ტურნირი უფრო მასშტაბური და უშეცდომო იქნება!

### მეხუთე ტურის პასუხები

1. პრონტო. 2. აზერბაიჯანი. 3. ინსპექცია. 4. სტილი. 5. გრიგორიანული. 6. მიხანაშვილი. 7. ძირმაგარა. 8. სტაფილო. 9. ულე. 10. ეგერი. 11. ინსტრუმენტი. 12. სიასამური. 13. სათვალია. 14. გეიმა. 15. უნივერსიტეტი. 16. გობრონი. 17. კორნელიუსი. 18. ნინძა. 19. კრუზენშტერნი. 20. ინტელიგენცია. 21. პალეონტოლოგია. 22. პაუზა. 23. ანთროპოლოგია. 24. მეფე. 25. ბრატისლავა. 26. შეუარდნაძე. 27. აკვარიუმი. 28. მონარქი. 29. არხანგელსკი. 30. მუზმუზელა. 31. ირანელი. 32. ამფიბია. 33. კათედრალური. 34. ტრავერსი (თრევერსი) 35. დიჯეი–დიუსელდორფი. 36. მზაკვარი. 37. პარამეტრი. 38. სანქცია. 39. ქრისტეფორე. 40. ნუგრი. 41. ნაფტალინი. 42. ქარგა. 43. ფასიე. 44. მუშნი. 45. რიტუალი. 46. მანიფესტი. 47. სამორინე. 48. ორიენტი. 49. ალიევი. 50. იუტლანდია. 51. საყვარელი. 52. კარდინალე. 53. გეა (რეა) 54. მურილიო. 55. ბალტიმორი. 56. მაუგლი. 57. ტრივიალური. 58. ლოველასი. 59. სმოკტუნოვსკი. 60. მირგოროდი. 61. დუმილი. 62. ქურიშვილი. 63. ულანბატორი. 64. ბლოკადა. 65. კაკაბაძე. 66. ანაფორა. 67. რადიკალი. 68. შერია. 69. ჰეპატიტი. 70. სკუდო. 71. კრიკუნი. 72. მარგარინი. 73. ბრაკონიერი. 74. რადიკულიტი. 75. ტურგენევი. 76. ვისრამიანი. 77. ხურჯინი. 78. მიჩურინი. 79. ბარელი. 80. სუბ. 81. ბელფასტი. 82. ტვენტე. 83. კადასტრი. 84. კანკანი. 85. აკონკაგუა. 86. სპარტაკი. 87. კანოე. 88. აკუტაგავა. 89. ერსტედი (ეს კითხვა არასწორად იყო დასმული, ამიტომ ყველას ჩაეთვალა). 90. ფანჯიკიძე. 91. ლივერპული. 92. რეჩ. 93. სკოტი. 94. პოლკოვნიკი. 95. ლიეპა. 96. მეფისტოფელი. 97. პიერონი. [illegible] პალიკარნასი. 156. აგრონომია. 157. პაინე. 158. მოტლანდია. 159. სარიშვილი. 160. კონვერტი. 161. ბუდარია. 162. ტავრია. 163. კურო. 164. ანატოლი. 165. კლიფსი. 166. კონსტიტუცია. 167. შამპანური. 168. მონიტორი. 169. მონამონი–მაია. 170. ბარტო. 171. ფერფლი. 172. გაფრინდაშვილი. 173. ვარსქენი. 174. სუვერენიტეტი. 175. ნარკომანია. 176. ვისტი. 177. ცინიზმი. 178. ჟანდარმერია. 179. არქიტექტორი. 180. რეიკიავიკი. 181. სიდი. 182. ვეფხისტყაოსანი. 183. სკეპტიკოსი. 184. დამოკლე. 185. ოქტომბერი. 186. ტერიერი. 187. პინოქიო. 188. ოისტრახი. 189. ნინევია. 190. ჩრჩილი. 191. ირიდიუმი. 192. რეფლექსი. 193. ფალკონე. 194. ოდეტა. 195. ელე. 196. ქლიავი. 197. მუყაო. 198. ალბიონი. 199. ბიუსტჰალტერი. 200. ჰალვა. 201. ეიზელი. 202. მელანქოლია. 203. ოლეშა. 204. ფლატე. 205. ცუგრუმელა. 206. ოჩანი. 207. გრინი. 208. ყვირილა. 209. ბზარი. 210. რასტრელი. 211. ჩიო. 212. კარგარეთელი. 213. ევა. 214. ძუა. 215. კახიაშვილი. 216. ბურიატია. 217. მენდელსონი. 218. მირიანი.

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1-2. | ხაჩირაშვილი მარინე | 100 | 100 | 100 | 99 | 220(100%) | +15 | 113.8 |
| | ყაჯრიშვილი ვლადიმერი | 100 | 100 | 100 | 99 | 220(100%) | +15 | 113.8 |
| 3. | კუსრაძე ლიანა | 100 | 100 | 100 | 98 | 220(100%) | +15 | 113.5 |
| 4. | გაბრიელიძე იური | 100 | 100 | 98 | 99 | - | +13 | 112.25 |
| 5. | ნებიერიძე მამუკა | 100 | 99 | 100 | 96 | - | +12 | 110.75 |
| 6.* | სესიტაშვილი ზურა | 99 | 99 | 99 | 95 | - | +10 | 108 |
| 7. | კვირიკაშვილი მერაბი | 99 | 93 | 99 | 98 | 215(97.72%) | +9 | 106.34 |
| 8 | ბუქღულაშვილი მანანა | 100 | 95 | 99 | 98 | 216(98.18%) | +7 | 105.03 |
| 9. | კუტალაძე მერაბი | - | 98 | 95 | 92 | 212(96.36%) | +6 | 101.34 |
| 10. | ჩაჩანიძე ქეთევანი | 99 | - | 96 | 95 | 207(94.10%) | +5 | 101.25 |
| 11. | ალიმბარაშვილი ალიკო | 93 | 92 | 96 | - | 215(97.72%) | +6 | 100.68 |
| 12. | მეტრეველი გია | 92 | 72 | 77 | 73 | 179(80.12%) | +7 | 85.82 |

ერთ ქალს კლინიკური სიკვდილი დაემართა; ელოდა, ელოდა ქმარი მის მობრუნებას, მაგრამ ქალს საშველი არ დაადგა და გადაწყვიტა დაესაფლავებინა. დაკრძალვის დღეს, როგორც წესია, მიცვალებული ეკლესიაში წაასვენეს; შიგნით შეყვანისას კუბო უცებ ეკლესიის კარს მიეჯახა და ქალიც ამ „სადათას ძილიდან" გამოფხიზლდა...გავიდა ხანი, ის ქალი ნამდვილი სიკვდილით გარდაიცვალა და მიცვალებული ისევ ეკლესიაში წაასვენეს; ეკლესიის კარს რომ მიუახლოვდნენ, ქმარმა პროცესიას გასძახა:
–„აბა, ფრთხილად მანდ, თორემ გახსოვთ მაშინ..."

### გასული ნომრის პასუხები

(1-ლი გვერდი) *თარაზულად:* 4. სტოპერი. 10. ქარხანა. 14. კლავიში. 15. ხალტურა. 16. პრელუდია. 17. რანდევუ. 18. გვირილა. 19. ლანგარი. 20. მუსტანგი. 21. მასტიკა. 22. ბროლინი. 24. სტაფილო. 25. ინკასატორი. 29. ვენდეტა. 33. ტიფოზი. 36. ემისარი. 37. ანტრაქტი. 38. მიმიკა. 41. კატა. 42. ფორინტი. 43. ვიტრინა. 44. ლაბაბი. 47. ჩოჩარა. 48. ტვერი. 49. კენედი. 50. სორენტო. 51. მურილიო. 52. გორაკი. 53. რაზმი. 54. რატუშა. 55. შაკიკი. 58. ლონდონი. 59. ნუნისი. 60. ნიჭი. 62. ფინიში. 65. [illegible]

(CROSSWORD): 1. Dangerous. 2. Majority. 3. Cigarette. 4. Depth. 5. Letter. 6. Sofa. 7. Agreement. 8. Magazine. 9. Enough. 10. Ignorant. 11. Travel. 12. Style. 13. Arbiter. 14. Level. 15. Resume. 16. Drinking. 17. Duty. 18. Tuesday. 19. Cousin. 20. Act. Tiger. 21. Denizen. Story. 22. Bunch. 23. Low. 24. Situate. 25. Skillful. Use. 26. Senior. 27. Sandwich.

[illegible]

# უცნაური ფაქტები

XIV საუკუნეში ყირიმის ერთ-ერთი ქალაქის დაცვისას ჯვაროსნები გაოცებულნი უმზერდნენ თათართა მოიერიშე რაზმებს, რომლებიც ლოდსატყორცნების საშუალებით ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში თავიანთ დახოცილ ქალებს ისროდნენ, თუმცა, როგორც გაირკვა, ეს „ფსიქიკური შეტევა“ არ ყოფილა: თათართა შორის მაშინ შავი ჭირი მძვინვარებდა, რამაც საბოლოოდ მათ ხელი შეუშალა იმ ქალაქის აღებაში, ჯვაროსნებმა კი გაიმარჯვეს, მაგრამ სამშობლოში მათ თან გაიყოლეს თათრების მკვდართაგან გადადებული შავი ჭირი, რამაც მომდევნო 20 წლის განმავლობაში მაშინდელი ევროპის მოსახლეობის ერთი მეოთხედი შეიწირა...

ქალის მხრივ ცოლქმრული ღალატის 50% მოდის იმ ასაკზე, როცა ქალბატონები აქტიურად მალავენ თავის წლოვანებას და კარგა ხანს არიან „დამუხრუჭებულნი“ ოცდაათიდან ორმოცს შორის მდებარე სურვილისამებრ შერჩეულ რიცხვზე... ეს ფაქტი სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ სტატისტიკა და სოციოლოგია სანდო მეცნიერებებია!

# კროსვორდი... ანუ ჯვარსიტყვა

**თარაზულად**: 1. „პოპულარული რიცხვი.“ 7. ბიჭი, რომელსაც სადაცაა მეორე უჯრაც აევსება. 10. ტკბილი სიტყვისაგან შორის მდგომი კაცი. 12. იგივეა, რაც დარიგება. 13. გემოს გასინჯვა. 14. „ბედის ირონიით“ შეწუხებული რეჟისორი. 15. ავადმყოფური ჩვევების მქონე არსება. 16. ხელოვნური ქსოვილი. 17. უვარგისი საცხოვრებელი. 18. სადავო ნახევარკუნძული დსთ–ში. 21. დროის მსხვერპლი. 22. უმშვენიერესი ქართველი მსახიობი. 26. ერთობ საფეხბურთო გვარი. 27. საქართველოს უბატონო მხარე. 30. გერმანიის საფეხბურთო კლუბი. 31. როგორი იყო ლიტერატურა სსრკ-ში (როგორი?) 32. სისხლის „გამყიდველი“. 33. მელიოტონ ქანთარიას „სასეირნო“ ადგილი. 34. ვენერიული დაავადება. 38. ჭრიჭინაც და აბეზარაც. 39. ინდიელების როლების შემსრულებელი იუგოსლაველი მსახიობი. 42. სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკა. 44. ფრანგი მწერალი და დრამატურგი. 47. ქართული ლიტერატურის „ყვავილების ქალაქი.“ 48. ერთი შოტლანდიური ტბის მკვიდრი ურჩხული. 49. მდინარე გერმანიაში. 50. ევროპის ჯუჯა სახელმწიფო. 52. ქალაქი დიდ ბრიტანეთში. 53. ნაზიბროლას შეურაცხმყოფი (ვიცით, რომ დეფისით იწერება). 54. ხმელეთის მეფე... წონაში. 55. ლინგვისტური შუამავალი. 56. მსოფლიოს უძველესი ქალაქი. 57. ოცი ერთეული.

**ვერტიკალად**. 1. ძლიერი ქარი. 2. პოლიტიკური ტავმეყრა. 3. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი. 4. რა გვარია გოჩა „გვადი ბიგვადან“? 5. ძალიან, ძალიან მაღალი. 6. ჩაის რუსული დანადგარი. 7. მშვენიერი ქალბატონი დოდო.. ძველი თაობის მსახიობი. 8. ავტონომიური რესპუბლიკა ურალში სსრკ-ს დროს. 9. ფოლადის მავთულებიანი განიერი ქვედაკაბა. 10. უცხო, არაამქვეყნელი. 11. დიდი თანამდებობის პირი. 18. მომთაბარეთა სამარხი. 19. ერთგვარი ჩამონათვალი, სია. 20. სხვისი საქციელის განმკითხავი. 22. მდინარის დასაგუბებელი საშუალება. 23. სავაჭრო ობიექტის ამოსაცნობი საშუალება. 24. სხვისი კანის ფერის მოძულე. 25. ქალაქელი მეგობარი. 27. კვეხნის სახესხვაობა. 28. 8. კვერენჩხილაძის საპასპორტო სახელი. 29. გრძელნისკარტა ფრინველი. 34. უძლიერესი ლიტველი კალათბურთელი. 35. ყველაფრისმცოდნე მეცნიერება. 36. იტალიის ფული. 37. როგორი სასწავლებელია სემინარია (როგორი)? 39. არითმეტიკის სახელმძღვანელოს შემადგენელი ნაწილი. 40. ვაზით გადაფარული ადგილი. 41. ტექსტის არამთავარი ნაწილი. 43. იაპონელი მეომარი. 44. დროებითი საგანგებო ორგანო. 45. ბურატინოს მეგობარი გოგონა. 46. ცის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში. 51. საქართველოს ავიაკომპანია.



# 10 შეხედულება ქალზე

*მამაკაცები ათასწლეულების განმავლობაში, თავისი არცთუ სწორი შეხედულებებისა და მოთხოვნების მიხედვით, აყალიბებდნენ ქალის სახეს საკუთარ ცნობიერებაში. ამ შეხედულებების ჩამოყალიბებას არანაკლებ უწყობდა ხელს თავად ქალიც...*




## 1. სუსტი სქესიო?!

მრავალი მამაკაცი ამტკიცებს, რომ ქალი სწორედ რომ სუსტ სქესს წარმოადგენს ამ ქვეყნიერებაზე. თუ გავითვალისწინებთ კუნთებს, კაცები უდავოდ სჯობნიან ქალებს ძლიერებაში. ქალის კუნთების საშუალო მასა 16 კილოგრამს შეადგენს, მამაკაცისა კი 27-ს: ქალის გული ზომით უფრო პატარაა და ტკივილებიც უფრო ნაკლებად სდევს თან. ფილტვების მოცულობაც ბევრად ნაკლები აქვთ ქალებს და, მიუხედავად ამისა. ისინი დაავადებებს მეტი სიმარჯვით უმკლავდებიან, რაც მამაკაცთათვის ერთი არასასიამოვნო ჭეშმარიტების მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ: ქალები ძირითადად უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე კაცები.

ერთხელ ამერიკაში ორი განსხვავებული სქესის – ბერებისა და მონაზვნების – ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა გამოთვალეს და გაარკვიეს, რომ 1000 მონაზონსა და ამავე რაოდენობის ბერებს შორის ქალები საშუალოდ 6 წლით მეტს ცოცხლობენ, თომცა კი მათი ცხოვრების გარემო და შესრულებული სამუშაოს პირობები პრაქტიკულად ერთნაირი იყო.

ქალად დაბადება ძალზედ მომგებიანია ადამიანისათვის, რადგან ქალური სასქესო ჰორმონები დადებითად მოქმედებს ორგანიზმის განვითარებაზე. შედარებით ნელი და რეგულარული ფიზიოლოგიური რიტმი კი ქალებს საშუალებას აძლევს, რომ უფრო ადვილად გადაიტანონ ცხოვრების ძნელი და გრძელი გზა.

## 2. ქალის გონება შეზღუდულიაო?!

ქალს გრძელი თმა და მოკლე ჭკუა აქვსო – ნათქვამია. მამაკაცები ოდითგანვე უსვამდნენ ხაზს ქალის არსების ამ მოჩვენებით მხარეს. 1753 წელს პოლონეთში ერთი დოკუმენტიც კი გამოიცა იმის თაობაზე, რომ „ქალი არ ეკუთვნის ადამიანთა მოდგმას“. ერთი საუკუნის შემდეგ კი, იმ მოძრაობამ, რასაც თავად მონაწილენი ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლას უწოდებდნენ, იმდენად აღაშფოთა მამაკაცები, რომ XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა საკმაოდ არგუმენტირებული თეორია იმის თაობაზე, რომ ქალის გონება ადამიანსა და ცხოველს შორის არსებულ შუალედურ საფეხურზეა განლაგებული. მამაკაკთა მოდგმის მრავალი წარმომადგენელი დღემდე ვერ განთავისუფლებულა ამგვარი შეხედულებისაგან; ამგვარი შეხედულების საფუძვლად იმას მიიჩნევენ, რომ ქალის ტვინი მამაკაცისაზე მსუბუქია, მეცნიერებმა კი დაამტკიცეს, რომ ტვინის წონა არაფრით განსაზღვრავს გონებრივ განვითარებას, რადგან დადგინდა, რომ ყველაზე მძიმე ტვინი დიდთავა კრეტინებს აქვთ...

გონებრივი განვითარების განსაზღვრის საუკეთესო ტესტის ავტორმა, ფსიქოლოგმა ვექსლერმა გამოარკვია, რომ მამაკაცები და ქალები არამარტო განსხვავებული ქცევით ხასიათდებიან, არამედ, [illegible] აზროვნებენ, პრინციპული სხვაობა კი იმაშია, რომ მამაკაცს სირთულეები უჩნდება გაანალიზების დროს, ქალს კი – სინთეზირებისას...

## 3. ქალები ისტერიულნი არიანო?!

საუკუნეების განმავლობაში დადასტურებულია, რომ ისტერია (ბერძნულიდან hystera - საშო) – ქალის არამდგრადი და ცვალებადი ბუნება – სექსუალური ფორიაქის გამოვლინებაა. აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის. უნდა განვასხვავოთ ემოცია და ფსიქიური განწყობა. მაგალითად: ომის დროს ინგლისში ფსიქიატრიული საავადმყოფოები სავსე იყო იმ ხალხით, რომლებიც დაბომბვების შედეგად მიღებული შოკის გამო მოხვდნენ იქ. ამ საავადმყოფოში მამაკაცები 70% სჭარბობდნენ ქალებს და ექიმებმა ასეთი დასკვნა გამოიტანეს: „ქალები ეგებ უფრო მეტად მგრძნობარენიც კი არიან, მაგრამ ეს არაფრით შეეხება საავიაციო დაბომბვის შიშს. ქალური ინსტინქტი მათ ჯავშანივით იცავს დეპრესიისაგან. მათ უფრო მეტი ფსიქიური მდგრადობა გააჩნიათ, ვიდრე კაცებს“. პოლონელი პროფესორი კაზიმეჟ პოსპეშილი თვლის, რომ ქალის ხასიათის ცვალებადობა მათს ფიზიოლოგიურ თავისებურებაზეა დამოკიდებული, რაც არაფრით იძლევა იმის საბაბს, რომ ქალი ამა თუ იმ პროფესიის კანდიდატთა სიიდან გამოვრიცხოთ. ქალთა უპირატესობა ის არის, რომ ისინი ცხოვრებას უკეთ ეგუებიან და უკეთესი კონტაქტის დამყარება შეუძლიათ ხალხთან. მათი ანალიტიკური უნარი, დახვეწილება და ინტუიცია მათ შესანიშნავ შანსს აძლევთ, რათა თავი გამოიჩინონ დიპლომატიურ სამსახურში.

## 4. ქალებს მხოლოდ „ შვარცენეგერები“ მოსწონთო?!

...ესეც, რა თქმა უნდა, მეტისმეტი ფანტაზიის ნაყოფია იმ მამაკაცებისა, რომლებიც გაუგებარი ენთუზიაზმით ქმნიან საკუთარი სხეულისაგან „კუნთების ტომარას“. ამ მამაკაცებს ჰგონიათ, რომ, მათი კუნთების დანახვისას, ქალები უმალ კალთაში ჩაუვარდებიან [illegible] მრავალ ქალს მოსწონს სპორტული აღნაგობის კაცი, მაგრამ არა ასე დამახინჯებული. ვაი, რომ ახლა ზოგიერთმა ქალმაც დაიწყო კუნთების გამოსაკვეთად ვარჯიში და საინტერესოა, ასეთი ქალები ვის აწონებენ თავს?!

## 5. ზედმეტ ცრემლს ღვრისო?!

ეს შეხედულებაც მამაკაცის არასწორი წარმოსახვების შედეგად იშვა. ხსენებული პროფესორი პოსპეშილი ამბობს: „როცა ქალი ტირის, მამაკაცმა იგი უნდა დააწყნაროს და არ დაუწყოს გამოკითხვა, თუ რა მიზეზით ტირის. ქალის საქციელის ანალიზი არამომგებიანი საქმეა, რადგან ქალი თვით ბუნებამ შვა ასეთ ემოციურ არსებად. ეს მისი ცხოვრებისეული კოზირიც კია, თუ გნებავთ...

## 6. ქალი უფრო ეჭვიანიაო?!

დიდმა ფილოსოფოსმა, იმანუილ კანტმა თქვა – „მამაკაცი ეჭვიანობს, როცა უყვარს, ქალი კი – ყოველთვის“.მეცნიერები ფიქრობენ, რომ მამაკაცის ეჭვიანობა უფრო მეტად დაკავშირებულია სექსთან, ხოლო ქალისა იმასთან, რომ, შესაძლოა, დაკარგოს პარტნიორი. ერთ სოციოლოგიურ გამოკვლევაში დამტკიცებულია, მამაკაცები, რომლებიც ღალატობენ თავის პარტნიორებს, უფრო მეტი ავტორიტეტით სარგებლობენ ქალების თვალში. ხოლო მიღალატე ქალი ზნედაცემულად მიაჩნია ყველა მამაკაცს. სხვა გამოკვლევები კი იმას ადასტურებენ, რომ მამაკაცები, ქალთაგან განსხვავებით, უფრო მეტი წარმატებითა და საქმის ცოდნით ახერხებენ საკუთარი ეჭვის დამალვას და, რაც უფრო განათლებულია მამაკაცი, მით უფრო უკეთ გამოსდის ეს შემნიღბავი საქციელი...

## 7. ქალებს სურთ ყოველთვის, მამაკაცებს კი — ზოგჯერ...

მეცნიერები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მამაკაცებს უფრო მეტი სექსუალური შიმშილი გააჩნიათ, მაგრამ რაწამს გაძღებიან, მაშინვე ავიწყდებათ შიმშილი. ქალებში კი ყველაფერი პირიქითაა, შეიძლება ითქვას, რომ შიმშილი საკვების მიღების შემდეგ ეწყებათ... როცა პარტნიორები იძინებენ, კაცი ქალისაგან შორს იწევს, ქალი კი მაინც სიახლოვეს ცდილობს და ეს მისი არსების მთავარი თვისებაა, რის უარყოფაც შეუძლებელია.

## 8. ქალი ყოველთვის განსაცმლის ნაკლებობას განიცდისო...

აი, ეს შეხედულება კი თავად ქალების ფანტაზიის ნაყოფია, რადგან მამაკაცები ამ შემთხვევაში მხოლოდ რიტორიკულ კითხვას სვამენ – რად უნდა ამდენი ტანსაცმელი?!

## 9. ქალებს ლაპარაკი უყვართო...

*რა თქმა უნდა, უყვართ!*

## 10. ქალის გარეშე ცხოვრება შეიძლებაო?!

...სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ არ შეიძლება!!!

**"Femina"**

# აღადგინეთ კროსვორდი

გთავაზობთ ცარიელ ჩარჩოს, რომელშიც, თქვენი სურვილისა და მოცლისამებრ, ასევე გთავაზობთ, რომ ქვემოთ დაშლილი სახით წარმოდგენილი კროსვორდი აღადგინოთ; გეტყვით მხოლოდ იმას, რომ კროსვორდი ოთხმხრივ სიმეტრიულია- და სადღაც ორ ვერტიკალზე იკითხება სიტყვები პიანინო და როიალი.





– დედიკო, დედიკო მართალია, რო[illegible] ადამიანები მაიმუნისაგან წარ[illegible] მოიშვნენ?!
– მართალია, ჩემო გოგონა!
– შენც მაიმუნისაგან წარმოიშვი?!
– მეც!
– შენი პატარაობის სურათს ხომ ვერ მაჩვენებდი?

ი/ს „ფანტაზია“
რეგისტრაციის ნომერი 7/1-1811
(ისნის რაიონი)
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები